ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

6 თებერვალი
ხუთშაბათი
2025 წელი
№5 (9371)
ფასი 40 თეთრი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბაკურიანში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბაკურიანში ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - „ბაკურიანი 2025-ის“ სამზადისთან დაკავშირებით საორგანიზაციო შეხვედრა გამართა.

მთავრობის მეთაურმა ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებისთვის ინფრასტრუქტურული და საორგანიზაციო მზადყოფნის შესახებ ანგარიში მოისმინა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქვეყანა ფესტივალის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის მზად არის და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც დასრულებულია. კერძოდ, უკვე გაიხსნა საერთაშორისო სტანდარტების ყინულის არენა თბილისში.

ფესტივალის მონაწილე პირველი დელეგაციები საქართველოს 4 თებერვალს ეწვივნენ, 6 თებერვლიდან კი დაგეგმილია პირველი შეჯიბრი ყინულის ჰოკეიში.

საქართველო ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს - ,,ბაკურიანი 2025”-ს 9-16 თებერვალს უმასპინძლებს. ფესტივალის განმავლობაში საქართველოს 45 ქვეყნიდან 1000-მდე სპორტსმენი ეწვევა. ,,ბაკურიანი 2025”-ის ფარგლებში, ზამთრის სპორტის 8 სახეობაში შეჯიბრებები თბილისში, ბათუმსა და ბაკურიანში გაიმართება.

ბაკურიანში ბიატლონის ახალი ტრასა საზეიმოდ გაიხსნა

31 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბაკურიანში ბიატლონის ახალი, 3.5 კმ-იანი ტრასა საზეიმოდ გახსნა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა მომზადებული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელიც ქვეყნის განვითარების მიმართულებით მორიგი წინგადადგმული ნაბიჯია.

პრემიერის შეფასებით, ახალი ინფრასტრუქტურა გააჩენს საშუალებას, რაც შეიძლება სწრაფად განვითარდეს ზამთრის სპორტის სახეობები და ქართველმა სპორტსმენებმა ამ სფეროში მეტ წარმატებას მიაღწიონ.

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის სახეობების განვითარება. ზამთრის სპორტი ცოტა ჩამორჩება ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებს. ახალი ინფრასტრუქტურა მოგვცემს საშუალებას, რაც შეიძლება სწრაფად განვავითაროთ ზამთრის სახეობები და მომავალში ამ სფეროში უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ. ახალი ინფრასტრუქტურა ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შევძლოთ მრავალი სხვა ტურნირის მასპინძლობა ჩვენს ქვეყანაში, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძემ ოლიმპიურ კომიტეტს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრსა და სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულებაში ჩართულ ყველა ადამიანს მადლობა გადაუხადა.

ბიატლონის ახალი ტრასის გახსნის ღონისძიებაზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ**, სპორტის მინისტრმა **შალვა გოგოლაძემ,** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **მამუკა ხაბარელმა.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ბაკურიანში ბიატლონის მოედნისა და თხილამურებით რბოლის (Cross Country) 3.5 კმ სიგრძის ტრასის მშენებლობა დაასრულა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ჯამურმა ღირებულებამ 18.2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ლერი ხაბელოვი - „ბაკურიანი -2025" საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებას ხელს შეუწყობს

საქართველო 9-16 თებერვალს ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. შეჯიბრი ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში ჩატარდება. ოლიმპიური ფესტივალი სპორტის 8 სახეობაში ჩატარდება - სამთო თხილამურობა, ბიატლონი, ფრისტაილი, ფიგურული ციგურაობა, ყინულის ჰოკეი, ციგურებით რბოლა, თხილამურებით რბოლა, სნოუბორდი.

შეჯიბრში საქართველოდან სპორტის სამ სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, სამთო-სათხილამურო სპორტი და ბიატლონი) 8 სპორტსმენი იასპარეზებს.

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სამზადისზე, ზამთრის სპორტის სახეობებსა და ინფრასტრუქტურულ სიახლეებზე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი საუბრობს:

წელს ჩასატარებელი ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველომ მაღალი შეფასება მიიღო. საქართველო მერვე ქვეყანაა, რომელიც ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ზამთრის სახეობებისთვის ინფრასტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ჩვენ არ გვქონდა და გვინდოდა შეგვექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ქართველი სპორტსმენები ფიგურულ ციგურაობაში, სამთო სათხილამურო სპორტსა და ბიატლონში მიიღებენ მონაწილეობას და იმედია, ღირსეულად, შედეგიანად იასპარეზებენ. ჩვენი სპორტსმენები ძირითადად შეკრებას უცხოეთში გადიოდნენ, რადგან ჩვენ არ გვქონდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

,,ბაკურიანი-2025“ საქართველოში ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებას ხელს შეუწყობს. ზამთრის სპორტი პოპულარულია. ინფრასტრუქტურის შექმნა კი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას. მოგეხსენებათ, ბაკურიანს ზამთრის სპორტში დიდი ტრადიცია აქვს, ტრამპლინიდან ხტომაში სახელოვანი სპორტსმენი კობა ნაქაძე ასპარეზობდა. გვინდოდა ტრამპლინი გაგვეკეთებინა ბაკურიანში, სადაც ადრე იყო, იმავე ადგილზე იგეგმებოდა მისი გაკეთება, თუმცა ეს არ იყო ამ ტურნირის მთავარი აუცილებლობა.

ბაკურიანში ამჟამად უკვე მოწყობილია სათხილამურო ტრასა და სპეციალისტების მაღალი შეფასება მიიღო, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენ ქვეყანაში ჩავატაროთ სხვადასხვა ტურნირები. იცით, რომ ბოლო წლებში ბაკურიანი მსოფლიო თასის ეტაპებს მასპინძლობს. ასევე ახალი ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, ქართველმა და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა სავარჯიშო შეკრებები ბაკურიანში გაიარონ. აღსანიშნავია, რომ გარდა სპორტული ინფრასტრუქტურისა, ბაკურიანში არის მაღალი დონის სასტუმროები, რამაც ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

გამართულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კვალიფიციური პერსონალი. ოლიმპიური კომიტეტი ჩართულია, ჩვენ გვაქვს სოლიდარობის პროგრამა, რაც შესაძლებლობას იძლევა, მოვიწვიოთ სპეციალისტები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები გაიარონ ასევე მწვრთნელებმაც.

მოამზადა რუსუდან სხირტლაძემ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

2025 წლის პროგნოზით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 43 500 ლარით.

მათ შორის:

2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **25 500.0** ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება **8 087.6** ათასი ლარით (46.5%-ით).

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 133.9%-ით (**8 587.6** ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობითი ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 10 500.0 ათას ლარს;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 5,0%-ით (500.0 ათასი ლარით) შემცირდა.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 12 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 3 675.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები 150.0 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 3 000.0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 500.0 ათასი ლარი;
- შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 25.0 ათასი ლარი;
- შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 125.0 ათასი ლარი;

შემოსავლები, სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- **შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 1 300.0 ათასი ლარი;**
- **შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 200.0 ათასი ლარი;**

- **ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, განსაზღვრულია 125.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 125,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200.0 ათას ლარს;**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა ევროპის ზამთრის XVII ოლიმპიურ ფესტივალზე

EYOF 2025 BAKURIANI

2025 წლის 9-16 თებერვალს საქართველო, კერძოდ, ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი უმასპინძლებს ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს.

ოლიმპიურ ფესტივალში სპორტის 8 სახეობაში (სამთო თხილამურობა, ბიატლონი, თავისუფალი სრიალი, ფიგურული ციგურაობა, ყინულის ჰოკეი, შორტ ტრეკი, თხილამურებით რბოლა, სნოუბორდი) მონაწილეობას მიიღებს 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი.

საქართველოდან სპორტის სამ სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, სამთო თხილამურობა და ბიატლონი) იასპარეზებს 8 სპორტსმენი.

საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას უხელმძღვანელებს სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** სპორტსმენთა სოფელში მისიის ხელმძღვანელი იქნება სეოკ-ის სპორტული დირექტორი **ივანე მეკრავიშვილი.**

სამთო თხილამურობასა და ბიატლონში შეჯიბრებები ჩატარდება ბაკურიანში, ფიგურულ ციგურაობაში - ბათუმში. ოლიმპიური ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება 9 თებერვალს და დაიხურება 16 თებერვალს. გახსნისა და დახურვის ცერემონიები გაიმართება ბაკურიანში.

ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში (,,ბაკურიანი 2025” 9-16 თებერვალი) მონაწილე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა

სპორტსმენთა სოფელი

სამთო თხილამურობა

1. **იასონ ვეზდენი** - სპორტსმენი
2. **გიორგი ჯაფარიძე** - სპორტსმენი
3. **ირაკლი ხერგიანი** - სპორტსმენი
4. **გოგა გულედანი** - სპორტსმენი
5. **ანასტასია მირიანაშვილი** - სპორტსმენი
6. **ნელი უსტიმენკო** - სპორტსმენი
7. **სოსო ჯაფარიძე** - მწვრთნელი
8. **ალექსი ბენიაიძე** - მწვრთნელი

ფიგურული ციგურაობა

9. **ინგა გურგენიძე** - სპორტსმენი
10. **ლუდმილა გაფაროვა** - მწვრთნელი.

ბიატლონი

11. **შიო ქუჩუკიანი** - სპორტსმენი
12. **ალექსანდრე ბუძიშვილი** - მწვრთნელი

ადმინისტრაცია

13. **ივანე მეკრავიშვილი** - მისიის ხელმძღვანელი
14. **მიხეილ სიხარულიძე** - მისიის ხელმძღვანელის მოადგილე (ბათუმის სპორტსმენთა სოფელში)
15. **თეონა ომანაძე** - პრესატაშე
16. **გიორგი კერესელიძე** - ადმინისტრაციული პერსონალი

სპორტსმენთა სოფლის გარეთ

17. **ლერი ხაბელოვი** - სეოკ-ის პრეზიდენტი (დელეგაციის ხელმძღვანელი)
18. **ელგუჯა ბერიშვილი** - სეოკ-ის პირველი ვიცე - პრეზიდენტი
19. **ნინო სალუქვაძე** - სეოკ-ის ვიცე - პრეზიდენტი
20. **ანზორ ჩუბინიძე** - სეოკ-ის ვიცე - პრეზიდენტი
21. **ემზარ ზენაიშვილი** - სეოკ-ის გენერალური მდივანი
22. **სალომე ჩიგოგიძე** - მსაჯი (ფიგურული ციგურაობა)
23. **მარიამ ალავიძე** - ახალგაზრდა ამბასადორი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

(გაგრძელება)

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:

ბორჯომის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 43 500 მილიონ ლარს (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 9 329.6 მლნ ლარით).

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით, 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 460 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 330 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 13 967.9 ათასი ლარი; **მათ შორის:**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 3 008.2 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. მოლითიდან-ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების II მონაკვეთი - 105.5 ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ცემში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 84.6 ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში ბერის საყდრების მონასტერთან მისასვლელი გზის (II მონაკვეთი) რეაბილიტაცია 48.2 ათასი ლარი.

წაღვერში და სოფელ ტიმოთესუბანში 17.9 ათასი ლარი;

ახალდაბაში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არსებული ჩიხის რეაბილიტაცია 34.2 ათასი ლარი

ქ. ბორჯომში, რაზმაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია 9.5 ათასი ლარი.

სოფელ ციხისჯვარში, ბერი გაბრიელ სალოსის ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 7.6 ათასი ლარი.

ახალდაბაში, ნეძვის მისასვლელი გზის (მონაკვეთის) რეაბილიტაცია 57.2 ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ღობეების რეაბილიტაცია - 1 223.6 ათასი ლარი.

ბორჯომში, რობაქიძის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია - 100.0 ათასი ლარი.

გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერებისა და სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება 620.0 ათასი ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობა - 700.0 ათასი ლარი.

წყლის სისტემების განვითარება - 1 775.3 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

სოფელ ცემში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია 73.2 ათასი ლარი.

სოფ. ბალანთაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 10.6 ათასი ლარი.

სოფ. ჭიხარულაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 193.7 ათასი ლარი

სოფ. ტბაზე წყალანირების ქსელის რეაბილიტაცია 307.8 ათასი ლარი.

ა(ა) იპ ბორჯომის სოფლის წყალი 1 190.0 ათასი ლარი.

გარე განათება - 1 378.0 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 15.0 ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ელ. ენერგიის ხარჯი 900.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ-ს ბორჯომის გარე-განათება 463.0 ათასი ლარი.

მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია - 1 618.7 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები -1 670.1 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 3 223.5 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება ა(ა)იპ ბორჯომის ტრასპორტი - 2 605.2 ათასი ლარი და შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების (ავტობუსები) დავალიანების დაფარვა - 618.0 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია - 1 294.0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3 052.0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების გატანა, ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

განათლება - 4 636.5 ათასი ლარი. **მათ შორის:**

სკოლამდელი განათლება - 4 249.5 ათასი ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება ა(ა)აპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“.

ბაკურიანის საშუალო სკოლის შენობის ქირის გადასახადი - 197.0 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება - 190.0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 7 070.7 ათასი ლარი. **მათ შორის:**

სპორტის სფეროს განვითარება - 2 707.9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს სარაგბო კლუბ „ტაოს“ დაფინანსებას. **მათ შორის:**

ა(ა)იპ ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა - 1 635.7 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ბორჯომის ,,ფეხბურთი 2013“ - 386.6 ათასი ლარი.

სპორტული ღონისძიებები - 185.5 ათასი ლარი.

ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია 500.0 ათასი ლარი. მ.შ.

ქ.ბორჯომში ცენტრალური საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია - 60.0 ათასი ლარი.

სოფელ ტიმოთესუბანში სპორტული მოედნის მოწყობა - 300.0 ათასი ლარი.

სოფელ სადგერში სპორტული მოედნის მოწყობა - 140.0 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს ხელშეწყობა:

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდება:

ბორჯომის ზ.ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა - 553.2 ათასი ლარი.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 674.0 ათასი ლარი.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 1 395.7 ათასი ლარი.

ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი - 200.0 ათასი ლარი.

ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები - 627.0 ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებებისა და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები 55.0 ათასი ლარი.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 285.0 ათასი ლარი.

ახალგაზრდობის ხელშეწყობა (დახმარება) - 518.0 ათასი ლარი.

საინფორმაციო მომსახურეობა 55.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 5 082.6 ათასი ლარი, **მათ შორის:**

ამბოლატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობია და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობა და რეაბილიტაცია 15.0 ათასი ლარი.

სოციალური დაცვა - 5 067.6 ათასი ლარი; პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო მომსახურეობა - 2200.0 ათასი ლარი;

უფასო სასადილოს დაფინანსება - 4 74.4 ათასი ლარი;

ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი - 3.6 ათასი ლარი

მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე ვეტერანთა დახმარება - 6.0 ათასი ლარი.

ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება - 550.0 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა - 50.0 ათასი ლარი.

18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 328.2 ათასი ლარი.

მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 310.0 ათასი ლარი.

სოციალური დახმარებები - 889.4 ათასი ლარი.

ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა - 250.0 ათასი ლარი;

მმართველობა - 8 960.5 ათასი ლარი, **მათ შორის:**

საკრებულოს დაფინანსება - 1 620.0 ათასი ლარი;

მერია - 5 609.9 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 700.0 ათასი ლარი;

შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი - 10.0 ათასი ლარი;

მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა 62.0 ათასი ლარი.

სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო - 1 688.4 ლარი.

სასიკეთო ცვლილებები ბიუჯეტში

25 იანვარს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ცვლილებები შეიტანა 2025 წლის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში და იგი გაიზარდა 4 094 851 ლარით (2025 წლის 1 იანვრისათვის გადმომავალი ნაშთის საფუძველზე). აღნიშნულიდან გამომდინარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა განისაზღვრა 53 141 800 ლარით.

ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 57 236 651 ლარით.

სულ: 4 094 851 ლარი გადანაწილდა 2023-2024 წლების გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დასრულებული ობიექტების საგარანტიო თანხების ასანაზღაურებლად:

გზების რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 894 715 ლარი.

ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 211 256 ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯებს 423 070 ლარი;

საყრდენი კედლების რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 235 856 ლარი.

წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 15 342 ლარი.

გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციის ხარჯებს დაემატა 14 839 ლარი.

ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობის ხარჯებს დაემატა 516 348 ლარი,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს დაემატა 9 740 ლარი.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 82 374 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების ხარჯებს დაემატა 227 804 ლარი;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებების ხარჯებს დაემატა 7 860 ლარი.

სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა-კეთილმოწყობასა და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 22 858 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხარჯებს დამატებით გამოეყო 66 681 ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტის ხარჯებს დაემატა 121 823 ლარი.

ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციის ხარჯებს 12 546 ლარი;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურის სფეროს დაწესებულებებისა და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯებს დაემატა 249 482 ლარი, რომელიც მოხმარდება სოფელ ჭობისხევში მდებარე კლუბის შენობის რეაბილიტაციას.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციასა და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატოს 25 000 ლარი,

ჯანდაცვის ცენტრის ხარჯებს 55 602 ლარი. გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციის ხარჯებს დაემატა 77 328 ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებს დაემატა 23 996 ლარი.

მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს 368 000 ლარი.

ეროვნულ სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯებს დაემატა 23 000 ლარი.

სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხარჯებს დაემატა 369 331 ლარი.

2025 წელი სიახლეებით დაიწყო

მომავალი თაობის ღირსეული აღზრდა, როგორც ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი საზრუნავია. უკვე წლებია, რაც ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა სრული დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება. სრულიად უფასოა სკოლამდელი აღზრდის დაწესებებულებში სწავლა და აღსაზრდელთა კვება. აქტიურად მიმდინარეობს სააღმზრდელო დაწესებულებათა სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. სრულად გადამზადდნენ აღმზრდელ-პედაგოგები. 2025 წლიდან კი საბავშვო-ბაღებში დამატებით სხვადასხვა სახის რეფორმები განხორციელდა, რომლის შესახებაც დეტალურად ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ბენდელიანს ვთხოვეთ ესაუბრა:

2025 წელი სასიამოვნო სიახლეებით დაიწყო. რეფორმა შეეხო ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურების გაზრდას. რამდენი პროცენტით მოიმატა დასაქმებულთა ხელფასმა?

- 2025 წლის იანვრიდან ხელფასების მატება განხორციელდა 10%-ით,125 ლარის ოდენობით. მატება ეხება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მომუშავე ყველა პირს. ეს იქნება, ბაღის აღმზრდელი, სპეციალისტი თუ ტექნიკური თანამშრომელი. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი. აღმზრდელ-პედაგოგები, რომლებიც გადამზადებულნი გვყავდნენ და მათი რაოდენობა იყო 23, გაუთანაბრდნენ აღმზრდელ პედაგოგებს და ამისთვის, კიდევ დამატებით გაეზარდათ ყოველთვიური ხელფასი. სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელების რაოდენობიდან გამომდინარე, ძალიან დიდი მოთხოვნაა სპეცპედაგოგებზე და რადგანაც ლიკანის საბავშვო ბაღი საკმაოდ დიდია, ნელს დავამატეთ ერთი სპეცპედაგოგი.

ბოლო წლებია უდიდესი ყურადღება ექცევა ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა კვების რაციონს. ახალი ნლიდან ამ მხრივაც ცვლილებებია...

- ახალი წლიდან, მაღალკვალიფიციური ნუტრიციოლოგების მიერ შემუშავდა ახალი მენიუ, რაც გულისხმობს სეზონური ხილისა და ბოსტნეულის კვების რაციონში ჩართვას. შემცირებულია შაქრისა და მარილის რაოდენობა, გამდიდრებულია ხილითა და ბოსტნეულით. რძის პროდუქტის გამარჯვებული კომპანია კი ჩვენთან არის ,,სანტინო", რომელიც 100%-ით ნატურალურ რძეს შეიცავს, რაც ვფიქრობ, რომ ჩვენი ბაღების გაერთიანებისათვის უდიდესი მიღწევაა. ბავშვები დღის განმავლობაში იღებენ მათთვის საჭირო კალორაჟს, რაც მათი ჯანსაღი განვითარებისთვის არის საჭირო.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რამდენიმე ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კონკრეტულად რომელ სააღმზრდელო დაწესებულებებს უტარდება სარემონტო სამუშაოები?

სურათზე: მშენებარე №1 საბავშვო ბაღი

-საქართველოს მასშტაბით დაიწყო ბაღებში ავტორიზაციის პროცესი და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები 2026 წლიდან არის უკვე ჩასმული, უნდა გავიაროთ ავტორიზაცია და ამიტომაც უმნიშვნელოვანესია სააღმზრდელო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ბორჯომის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეკონსტრუქცია. სამუშაოებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები ასრულებენ. სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ვიმედოვნებთ, რომ სექტემბრიდან გვექნება სრულიად რეაბილიტირებული №1 საბავშვო ბაგა-ბაღი. ასევე მიმდინარეობს ბაკურიანის ბაგა-ბაღის მშენებლობა და ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული შენობაც სექტემბრიდან შეუდგება სააღმზრდელო პროცესს. რაც შეეხება №1 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, ისინი მათი სურვილისამებრ არიან გადანაწილებულნი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საბავშვო ბაღებში. მომავალ წელს იგეგმება ყვიბისის საბავშვო-ბაღის მშენებლობაც. ბაღის პროექტირება დასასრულს უახლოვდება. სამუშაოები უკვე გაზაფხულიდან დაიწყება და ყველა ბაღში, სადაც კი საჭირო იქნება სამუშაოების ჩატარება, რომ ავტორიზაციის მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, აუცილებლად განხორციელდება.

იმ ბაღებში, სადაც რეაბილიტაცია მიმდინარეობს, მათი აღსაზრდელები და პერსონალი, რომელ ახლომდებარე ბაგა-ბაღებში აგრძელებს სასწავლო პროცესს.

- დიახ, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებითაც მინდა გავაკეთო კომენტარი. მაგალითად, დვირის ბაღში ტრანსპორტირება ხორციელდება ქვაბისხევიდან, ტაძრისის ბაღში საკირიდან და დგვარიდან დაყავთ აღსაზრდელები. ასევე, წაღვერში ბავშვების ტრანსპორტირება ხორციელდება სოფელ ტიმოთესუბნიდან და მზეთამზიდან. წელს დაემატა ბაკურიანში სოფლების, ანდეზიტისა და ციხისჯვრის აღსაზრდელების ტრანსპორტირებაც. ვცდილობთ, რომ დავაკმაყოფილოთ აღსაზრდელთა მოთხოვნები და არც ერთი ბავშვი არ დარჩეს საბავშვო ბაღის მიღმა. ამაში მუნიციპალიტეტი არ იშურებს რესურსებს. ჩვენი საზრუნავი ხომ მომავალი თაობის ჯანსაღი გარემოს შექმნაა. მომავალი თაობის მოფრთხილება ხომ უმნიშვნელოვანესია.

2024 წელი კიდევ რითი იყო მნიშვნელოვანი და ახლო მომავალში თუ იგეგმება გარკვეული სახის სიახლეები?

- 2024 წელი უმნიშვნელოვანესი იყო ტრენინგების კუთხითაც. ტრენინგები ჩაუტარდა ყველა აღმზრდელს, 66 საათიანი ტრენინგ-მოდულით. გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები, ასევე განისაზღვრა მათთვის ხელფასები სხვადასხვა კრიტერიუმების შესაბამისად. ტრენინგები იყო ასევე განხორციელებული ძალადობის მიმართულებითაც, რომელიც არსამთავრობო ორგანიზაცია ,,ვორდ ვიჟენმა" ჩაგვიტარა აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ტრენინგმა მოიცვა დაწესებულებების უფროსები, სპეცპედაგოგები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები. ძალადობის საკითხებს სააღმზრდელო დაწესებულებებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შემუშავებულია რეფერირების დოკუმენტი, გამოყოფილია ძალადობაზე პასუხისმგებელი პირი. ძალიან ყურადღებით ვეპყრობით ამ თემას.

წელს უკვე იგეგმება მზარეულებისა და ექთნების ტრენინგი. საბავშვო ბაღებში დანერგილია ჰასპის პროგრამა და ჩატარდება მონიტორინგი სურსათის უვნებლობის სააგენტოდან, გამოიყო უკვე შესაბამისი პირები, რომლებიც აუდიტს განახორციელებენ. ასევე 2025 წლიდან იგეგმება მათი გადამზადება ამ მიმართულებით. წინ ბევრი გამონვევა გვაქვს, ყოველდღიურ მუშაობის რეჟიმში ვართ, არ ვდუნდებით. ვფიქრობ, ძალიან დიდი სიახლეებით შევხვდით 2025 წელს, ხოლო 2026 წელს , როგორც მოგახსენეთ, ვემზადებით კიდევ უფრო დიდი გამოწვევისთვის, რასაც ბაღების ავტორიზაცია ჰქვია.

მადლობა საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

იმედის იმედად!

დვირის, საკირის, ტაძრისის, დგვარის, კორტანეთის მოსახლეობა წლებია ბუნებრივი გაზის დამონტაჟებას ელოდება, ხოლო ახალდაბის, წაღვერის, ყვიბისისა და სხვა სოფლების მცხოვრებლები, განსაკუთრებით წვიმის დროს, ონკანებიდან მომდინარე ტალახიანი წყლის პრობლემის მოწესრიგებას ნატრულობს.

წლებია მოსახლეობა ამბობს: - დაგვპირდნენ, ბუნებრივი გაზი მალე გექნებათო! ამ სოფლებში, წლებია მესმის ერთი და იგივე სიტყვები - გაზი მალე გვექნება და ეს მალე, წლებში ჩაკარგული მოლოდინია. მათი ცხოვრების პირობები უკიდურესად გაუსაძლისია. თანამედროვე სოფლის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. სოფელს ესაჭიროება კეთილმოწყობილი ბილიკები, გზები, გაზი, კანალიზაცია, წყალი, დენი, საბავშვო ბაღები, სამედიცინო ცენტრები, მაღაზიები, კაფეები, გასართობი ადგილები, ინტერნეტი, აფთიაქი და ა.შ. სწორედ ასეთია თანამედროვე სოფელი.

ქალაქიდან სოფელში გადასულ ახალგაზრდა ოჯახების შესახებ ხშირად მზადდება რეპორტაჟები, მაგრამ აღნიშნული რეალობას არ ცვლის და სოფლებში უამრავი სახლია გამოკეტილი და მხოლოდ სააგარაკოდ იღება მათი სახლები.

მიწის დამუშავების სურვილით ახალგაზრდები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან დაინტერესებულები. ფაქტია, რომ ჯანსაღი პროდუქტის სიმცირე საგრძნობლად შეინიშნება ჩვენს სამშობლოში. გვავიწყდება, რომ ძლიერი სოფელი ნიშნავს - ძლიერ სახელმწიფოს, ჯანსაღ სიცოცხლეს.

თუკი სოფლამდე მისასვლელი გზა არ იქნება და დიდთოვლობისას არ გაწმენდნენ გზებს, სადაც სასწრაფოს დახმარებასაც უძნელდება მისვლა, ბუნებრივია, რომ მოსალოდნელია სოფელი ნასახლარად იქცეს.

წრეზე ვტრიალებთ, მაგრამ ფაქტია, სოფლის მეურნეობას სჭირდება ძლიერი მხარდაჭერა. სწორი ხედვა, სწორი ინვესტიცია, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ აგროტურიზმი, რაც უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას. მანამდე კი, ის ელემენტარული პირობები მაინც შეიქმნას, რომელიც სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას უკეთესი ცხოვრების პირობებს შესთავაზებს.

არ დაგვავიწყდეს, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება საგანგაშოა და მისი გამოსწორება სოფელსაც ეხება და ქალაქსაც.

- ღუმელი თუ არ დაანთე სოფელში, ის რა სოფელიაო?! - მეგობარი მეუბნებოდა. ღუმელი დაანთე, კი ბატონო, თბილ ოთახში, ბუხრის წინ მოკალათდი და წიგნი იკითხე, ისაუბრე, თუმცა აქვე გქონდეს გაზი, სუფთა წყალი, ინტერნეტი, გასართობი სივრცე. არავინ კრავს ხელს ღუმელს, რომელიც თურმე ძვლებს ათბობს და კარმა მხოლოდ კანს.

სხვა საკითხია, სოფელში გასეირნება რომანტიკოსად რომ გაქცევს, მაგრამ მუდმივად ცხოვრება პრობლემებთან ერთად, რთულია.

დღეს სოფელს განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება. ეს ყველას უნდა ახსოვდეს.

იზა იანვარაშვილი

ისტორიის ლაბირინთებში

უსახელო მეფეთა საგანძური

1978 წელს, ჩრდილოეთ ავღანეთში, ქალაქ შიბიარჟანის გარეუბანში, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა უცნობ მეფეთა სამაროვნები, რომელიც მსოფლიოს ჟურნალისტებმა საუკუნის აღმოჩენად მონათლეს. გაზეთი ,,ნიუ-იორკ თაიმსი" წერდა, რომ ავღანეთში აღმოჩენილი საგანძური მეტოქეობას უწევს ფარაონ ტუტან-ჰამონის აკლდამის საგანძურს, ხოლო გაზეთი ,,ტრუდი" წერდა: ,,დაახლოებით 20 000 ოქროულობის ნაკეთობა აღმოაჩინა საბჭოთა კავშირ-ავღანურმა ექსპედიციამ ძველი ბაქტრიის ტერიტორიაზე".

-,,არავის შეეძლო ეოცნება ბამბის მინდვრებში მდებარე უბრალო მაღლობებზე ასეთი საგანძურის აღმოჩენაზე", წერდა ამერიკული ,,თაიმსი".

ჩრდილოეთ ავღანეთში მდებარეობდა ძველი ბაქტრიის სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების მანძილზე გარკვეულ როლს ასრულებდა შუა აზიის სახელმწიფოთა ისტორიაში. არქეოლოგიური მასალები დოკუმენტალური სიზუსტით გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში ბაქტრიის ტერიტორიაზე ჰყვაოდა მაღალგანვითარებული მონათმოქმედური კულტურა. გამოვლენილია ბაქტრიული საზოგადოების მძლავრი კავშირები ინდოეთთან, ირანთან, ჩინეთთან.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულებში ბაქტერიის მეზობლად მდებარე ირანის ტერიტორიაზე შეიქმნა აქემენიდთა გვარის მეფეთა მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც ძალით დაიმორჩილა ბაქტრიის სახელმწიფო. ყოველწლიურად ბაქტრიიდან მძიმედ დატვირთულ ქარავნებს სპარსეთში მიჰქონდათ ხარკით გათვალისწინებული საქონელი. აქემენიდების სახელმწიფოს ძველ დედაქალაქ პერსეპოლში დღესაც არსებობს ძველ სასახლეთა ქარავნები.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დასაწყისში დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა თავის ცნობილ აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, დევნიდა რა უკანდახეულ სპარსული ჯარის ნაწილებს, მიაღწია აქემენიდთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრებს, რის შედეგადაც სხვა დაპყრობილ ტერიტორიებს შორის მოხვდა ბაქტრიაც.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისმა თანამებრძოლებმა დაინაწილეს დაპყრობილი ტერიტორიები, რის შედეგადაც მისმა სარდალმა სელევკმა შექმნა ახალი სელევკიდური სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ბაქტრიის სახელმწიფო. ახლადაშექმნილი სამეფოს ცენტრიდან, დიდი დაშორების გამო, უკვე ჩვენ ნელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ბაქტრიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფო, რომლის ბირთვს შეადგენდნენ ბერძენი კოლონისტები და ბაქტრიული დიდებულები, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფომ მხოლოდ 100 წელი იარსება, მან მაინც ღრმა კვალი დატოვა ელინისტური მსოფლიოს ისტორიაში. ეკონომიური და კულტურული აყვავების ხანაში მისი ზეგავლენა ვრცელდებოდა, როგორც სამხრეთ ავღანეთის, ისე ინდოეთის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რაც იწვევდა ამ კულტურებისა და ტრადიციების შერწყმას.

მდინარე ამუდარიის მარცხენა სანაპიროზე ბერძნებმა დააარსეს ქალაქი აია-ხანუმი. ეს იყო წმინდა ბერძნული ქალაქი და იგი იმეორებდა საბერძნეთის სხვა ქალაქების იერსახეს. ანტიკური ავტორები ბაქტრიას ეძახდნენ ,,ათასი ქალაქის ქვეყანას", რაც ნათლად წარმოგვიდგენს ამ სახელმწიფოს აღმავლობას, მაგრამ ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნის შუალედში ბაქტრიაში შეიჭრა უთვალავი მომთაბარე ველური ტომი, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს ქვეყანას, დატოვეს გაძარცვული და დაფერფლილი ქალაქები. ამ ტომებს ბერძნები ეძახდნენ სკვითებს, ხოლო სპარსელები საკვებს. ქალაქ აია-ხანუმს ჰქონდა მძლავრი, ერთი შეხედვით, აუღებელი ციხე-სიმაგრეები და ქალაქი შემოსაზღვრული იყო განიერი დამცავი კედლებით, რომელზეც თავისუფლად მოძრაობდა ოთხცხენშებმული ეტლი.

გადიოდა წლები და დამპყრობლებმა თვითონ დაიწყეს ქალაქის აღდგენა და ნელ-ნელა შეითვისეს ელინისტური კულტურის ელემენტები, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი კუშანის იმპერია, რომლის ცენტრი გახდა ბაქტრია.

არქეოლოგებმა ქალაქ შიბირგანის გარეუბანში, ძველ დასახლება ტილია-ტეფეში გადაწყვიტეს სამუშაოების ჩატარება. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით ტილია-ტეფე ნიშნავს ოქროს მაღლობს. მის გვერდით ბამბის მინდვრებში ისინი პოულობდნენ ბევრ ოქროს ნივთებს, რომლებიც როგორც შემდეგ გამოირკვა, თაგვებს გამოჰქონდათ მეფეთა სამარხებიდან.

1978 წლის ნოემბრის დასაწყისში ექსპედიცია შეუდგა მუშაობას. ორკვირიანი მუშაობის შემდეგ გამოისახა მონუმენტური ნაკეთების კონტურები, გამოირკვა, რომ ამ ნაგებობის გამოქარვის შედეგად წარმოქმნილი იყო მაღლობი. პირველი დღეების მუშაობის შედეგად ექსპედიციამ იპოვა მხოლოდ ერთი საინტერესო ნივთი. ეს იყო დაჟანგებული რკინის სამაგრი, რომელშიც გაყრილი იყო მსხვილი ლურსმანი.

15 ნოემბერს ექსპედიციის წევრებმა შეამჩნიეს, რომ ერთ-ერთი მუშის ნიჩაბზე ყვითლად გაიბრწყინა პატარა მონეტის ზომის დისკომ. დაუყოვნებლივ შეწყდა მუშაობა და მუშები გადაიყვანეს სხვა უბანზე, ხოლო არქეოლოგებმა ჯაგრისებით სათუთად დაიწყეს იმ ადგილის გასუფთავება. მალე გამოჩნდა ცუდად შენახული ძვლები და ნახევრად დაშლილი თავის ქალა. დაიწყო სამარხში ჩატანებული ოქროს ნივთების გულდასმით დასუფთავება და ამოღება. სასწრაფოდ ეცნობა ავღანეთის მთავრობას და მალე უბანი დაიკავა გასამხედროებულმა დაცვამ. გაყვანილ იქნა ელექტროენერგია, დადგეს პროჟექტორები, მოიტანეს ორი საველე ვაგონი და დანესდა 24 საათიანი მორიგეობა.

სამარხი ორმო მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეზე იყო, ზომებით - 2,5 მეტრი და 1,3 მეტრი სიგანით. არქეოლოგების გაკვირვება გამოიწვია სამარხის პრიმიტიულმა მდგომარეობამ. მისი კედლები თიხითაც კი არ იყო შელესილი. სამაგიეროდ დადგინდა, რომ კუბო მთლიანად შეფუთული იყო ოქრომკერდით ნაქსოვი ქსოვილით, რაც ნიშნავს, რომ მიცვალებული განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანი იყო, ეს ადვილად დადგინდა, ვინაიდან, მისი საფლავიდან ამოღებული იქნა 2,5 ათასი ოქროს ნივთი. გვამი რამდენჯერმე გახვეული იყო ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში, რომელზეც დამაგრებული იყო რამდენიმე ასეული ოქროს გულსაბნევი.

მიცვალებულის ნივთებმა ექსპედიციას საშუალება მისცა, დაედგინათ გარდაცვლილის სქესი. პირველ რიგში ეს იყო სპილოს ძვლისაგან დამზადებული მინიატურული ყუთი, რომელშიც ჩალაგებული იყო კოსმეტიკური ნივთები იმდენად მაღალი ხარისხის, რომ მათზე დღევანდელი ქალბატონებიც არ იტყოდნენ უარს. ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ სამარხში ესვენა 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალი, ყელზე მიცვალებულს ეკეთა მასიური ოქროს ჯაჭვი, ხოლო ყურებთან, ასევე მასიური ოქროს საყურეები. მათზე კონტრასტს ქმნიდა მარცხენა ხელის თითზე წამოცმული საკმაოდ გაცვეთილი უბრალო ოქროს ბეჭედი.

თამაზ ჩიკვაიძე

(გაგრძელება იქნება)

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

პიროვნებას, რომლის ცხოვრებისეულ გზას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „შრომა შეუძლებელს შეძლებულს გახდის“, ერთ-ერთ საუკეთესო და მასშტაბური საკურორტო ზონის შემქმნელს თავის მშობლიურ ბაკურიანში, მშრომელ და მიზანდასახულ ადამიანს, ხელგაშლილ ქველმოქმედს, ბაკურიანის დიდ გულშემატკივარს, ბევრისთვის მისაბაძს და თავისი შრომისმოყვარეობის უნარისთვის შთაგონების წყაროს, ჭკვიან და გამჭრიახ მრჩეველს, უბრალოდ ძველ მეგობარს ვლადიმერ სტეფანიანს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყველაფერ საუკეთესოს, ჯანმრთელობას, წინსვლას, ბედნიერ და მშვიდობიან მომავალს, სიხარულს ოჯახში, წარმატებებს საქმიანობაში. ბედნიერი 53!

თამარ და რუსუდან სხირტლაძეები

საქართველოს თასის მეორე ეტაპი ბაკურიანში

1 და 2 თებერვალს ბაკურიანში დიდველის ფერდობზე, სკი კროსის ტრასაზე 2025 წლის საქართველოს სამთო-სათხილამურო რეგიონული ეტაპი გაიმართა სლალომის და გიგანტური სლალომის სახეობაში. მზიანმა ამინდმა და კარგად მომზადებულმა თოვლის საფარმა ორგანიზატორებსა და სპორტსმენებს ხელი შეუწყო, რომ შეჯიბრი წარმატებით გამართულიყო. შეჯიბრში ტრადიციულად თბილისის, გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის, აჭარისა და „სკი ჰაუსის“ გუნდის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. სპორტსმენები სამ ასაკობრივ ჯგუფებში ასპარეზობდნენ.

ბაკურიანელი მოთხილამურეების შედეგები ასეთია:

2011-2012 წლებში დაბადებულები

გოგონები - **თეკლა ვიბლიანმა** და **ანანო სანაკოევმა** შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს გიგანტურ სლალომში

ვაჟები - **ალექსანდრე ხასყიდაშვილი** ორივე საშეჯიბრო დღეს პირველი იყო.

2009-2010 წწ. გოგონები - **ნინო გეორქოვი** პირველი იყო სლალომში, ხოლო გიგანტური სლალომში - მეორე. მისი თანაგუნდელი **ანასტასია ვიბლიანი** კი პირიქით - გიგანტურ სლალომში პირველი, ხოლო სლალომში - მეორე.

ვაჟები: სლალომში **სანდრო ხვედელიძე** მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო **ალექსანდრე ჯანგუვენი** - მესამეზე.

2008 წ. და უფროსი ასაკი:

გოგონები - გიგანტურ სლალომში **ნელი უსტიმენკომ** ყველას აჯობა.

ვაჟები - **ირაკლი აბესაძე** სლალომში მესამე იყო.

ამით დასრულდა საქართველოს თასის მეორე ეტაპი. შემდეგი ეტაპის მასპინძელი აჭარის მთიანეთია. გოდერძის ტრასებზე 22-23 თებერვალს გაიმართება საქართველოს თასის მესამე ეტაპი. წარმატებული გამოსვლები ჩვენს სპორტსმენებს!

საავტომობილო გზები თოვლსა და ყინვას ვერ უძლებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში რამდენიმე დღეა შეინიშნება საგზაო ტექნიკა, რომელიც დაზიანებულ გზის საფარს არემონტებს. ერთკვირიანმა თოვამ და მცირე ყინვებმა ისე დააზიანა გზის საფარი, რომ მასზე გადაადგილება საშინელ დისკომფორტს ქმნის გზებზე.

გზებზე მარილის დაყრის აუცილებლობა გვესმის, მაგრამ ასე მარტივად აზიანებდეს გზის საფარს, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს.

იმდენად თვალში საცემია „დაკერებული“ გზები, რომ მნახველში წუხილს იწვევს. სულ რაღაც რამდენიმე კვირა დაჭირდა, რომ პრობლემას ისევ ეჩინა თავი, არადა, ზამთარი იწყებოდა, რომ ადგილ-ადგილ სამუშაოები ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო.

ტექნიკის გუგუნი დიდი მოსაქმესავით აყრუებდა გარემოს გაფუჭებული საქმის საკეთებლად. ხელმარჯვედ უქნევდა ხელს გზის პირას მდგომი კომპანიის თანამშრომელი ავტომობილების მძღოლებს, გავლასა და შეჩერებას ამცნობდა გადაქანცული სახით.

ენაც არ აქვს ამ დალოცვილ გზას, რომ სათქმელი თქვას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უთქმელადაც ყველასთვის კარგად ჩანს სათქმელი, როდესაც მუდმივად ასე ნათლად ჩანს ერთი და იგივე პრობლემა, შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ. შეირჩეს ხარისხი, რომელიც უძლებს თოვლს, ყინვას, მარილს, მზესა და სიცხეს.

ჩარხისწყლის ხიდს წლებია რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მაგრამ შეამჩნევთ, რომ უძლებს დროსა და კლიმატურ პირობებს სილამაზის ხიდისგან განსხვავებით, რომელიც ან ბერმუდის სამკუთხედს მოგაგონებთ ან სულაც იტყვი, რომ აქილევსის ქუსლად იქცა, ხოლო ორმოები კი ხიდის სავიზიტო ბარათად.

გზა იჭრება და იგება, ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომით, ეს სიახლეს არ წარმოადგენს. სიურპრიზია, რომ ახლა უკვე იანვრის მზიან დღეებშიც კი შეხვდებით გზებზე მოგუგუნე ტექნიკას.

იზა იანვარაშვილი

საქველმოქმედო კონცერტი თინიკო თაბაგარის სამკურნალოდ!

ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება **თინიკო თაბაგარის** მკურნალობას.

საქველმოქმედო კონცერტში ანსამბლი „ოქტავა“, კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები იღებდნენ მონაწილეობას.

ღონისძიებას ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, დეკანოზი **იოანე (ხეცურიანი)** და ადგილობრივი თვითმართველობის წევრები ესწრებოდნენ.

შევნიშნეთ, გავასწორეთ

გაზეთ „ბორჯომის“ 30 იანვრის №4-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „შეხვედრა ახალგაზრდა მწერალთან“ გაიპარა უნებლიე შეცდომა. წერილის მე- 4 აბზაცში უნდა იკითხებდეს : - “სიტყვით გამოვიდა წიგნის ავტორის მეგობრის მეუღლე **მარიამ კოპალეიშვილი**.“. მკითხველს ვუხდით ბოდიშს

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.

WWW. colorgroup.ge

borjomipress9@gmail.com

კორექტორი: ნანა კევლიშვილი

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ღმერთმა გვიმრავლოს სპორტული ოჯახები!

2025 წლის 19 იანვარს ავსტრიის მაღალმთიან საკურორტო ქალაქ შლადმინგში გაიმართა ვეტერან მოთხილამურეთა ყოველწლიური შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში.

ამ მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებაში 150-ზე მეტი ვეტერანი სამთო-მოთხილამურე სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 31 წლიდან 90 წლამდე მერყეობდა.

ვეტერანთა შორის საქართველოდან სამი სამთო-მოთხილამურე მონაწილეობდა, მათ შორის ყველაზე უფროსი - 88 წლის **ელგუჯა ორჯონიკიძე,** 82 წლის **გერა აბრამაშვილი** და ბატონ ელგუჯას შვილიშვილი 31 წლის **გიორგი ქორქიაშვილი-ორჯონიკიძე.**

შეჯიბრი თითქმის გაყინულ ტრასაზე მიმდინარეობდა და სიმაღლეთა სხვაობა სტარტსა (1555 მ) და ფინიშს შორის (1390 მ) 165 მეტრს შეადგენდა.

შესანიშნავად იასპარეზა ბატონ ელგუჯას შვილიშვილმა გიორგიმ, რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა, თვით **ელგუჯა ორჯონიკიძე** ორჯერ გამოვიდა სტარტზე, პირველად სუპერ გიგანტში. უმეღავათო ბრძოლაში მეორე, ხოლო გიგანტურ სლალომში მესამე ადგილი მოიპოვა. სამწუხაროდ, ვეტერანთა შეჯიბრში მოასპარეზე მესამე ქართველი **გერა აბრამაშვილი** ყინულიან ტრასაზე ვარჯიშის დროს დაიმტვრა, შეჯიბრს გამოეთიშა და სამკურნალოდ კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების ოპერატიული ჩარევის შედეგად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად ბატონი ელგუჯა წლებს არ ეპუება და ახლა იტალიაში ჩასატარებელი შეჯიბრებისათვის ემზადება, რომელიც თებერვალში გაიმართება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ელგუჯა ორჯონიკიძე ათი-თხუთმეტი წელია, რაც სისტემატურად ასპარეზობს ვეტერან სამთო-მოთხილამურეთა ტურნირებზე და ყოველთვის საპრიზო ადგილებით გვიბრუნდება მშობლიურ წაღვერში. იგი ერთადერთი ვეტერანია, რომელიც საქართველოს სახელით ასპარეზობს ამ მეტად ტიტულოვან შეჯიბრებებში.

ახალგაზრდობის წლებში არაერთხელ იყო საქართველოს ჩემპიონი სწრაფდაშვებაში. მის კვალს გაყვნენ შვილები - გია და ელგუჯა (უმცროსი), რომლებიც 14-15 წლის ასაკში ყოფილ სსრ კავშირის ნაკრებში ასპარეზობდნენ. გია სწრაფდაშვებასა და სლალომში, ხოლო ელგუჯა უმცროსი ტრამპლინიდან ხტომაში წარმატებებსაც აღწევდნენ.

სასიხარულოა ისიც, რომ ბატონ ელგუჯას მესამე შვილი, ქალბატონი ეკა წლების მანძილზე სამთო-სათხილამურო სპორტული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, დღეს კი სპორტული ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უდგას სათავეში.

ღმერთმა გვიმრავლოს საქართველოში სახელოვანი სპორტული ოჯახები.

ვალერიან ლომიძე.

ჩვენებურები უნივერსიადაზე

დასრულდა ზამთრის უნივერსიადა 2025, რომელიც იტალიაში, ქალაქ ტურინში მიმდინარეობდა. სკი კროსის ფინალური შეჯიბრი კურორტ ბარდონეჩიაში გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებმა: ლაშა კურტანიძემ და ბექა ბერძენიშვილმა იასპარეზეს. კვალიფიკაციის შემდეგ ლაშა მესამე და ბექა მეცხრე ადგილებზე იყვნენ. ამ შედეგით ლაშამ ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, საბოლოოდ კი მერვე ადგილზე გავიდა.

ლაშა კურტანიძე: - მედლის მოპოვების შანსი გვქონდა და ცოტა გულდასაწყვეტია ეს შედეგი. შეცდომები დავუშვი დაშვებისას, სკი კროსი ისეთი სპორტის სახეობაა, რომ გამართლებაც სჭირდება სპორტსმენს წარმატების მიღწევაში. კვალიფიკაციის შემდეგ მესამე ადგილზე ვიყავი, საბოლოოდ კი მერვე ადგილი დავიკავე.

კონკურენციის არ ეშინია

16 წლის ბაკურიანელი სამთო-მოთხილამურე ნელი უსტიმენკო იმ რვა სპორტსმენთაგანია, რომლებიც ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს ღირსებას დაიცავს. ნელი საქართველოს ნაკრების წევრია და საქართველოს თასის გათამაშებებზე წარმატებით ასპარეზობს. თხილამურების გარდა ახალგაზრდა სპორტსმენი მკლავჭიდით არის გატაცებული და ამ სახეობაშიც კარგი შედეგები აქვს. „ბაკურიანი-2025“ მისთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

- ფესტივალისთვის მაქსიმალურად ვემზადები, ყოველ დილით მთაზე მინიმუმ 3-4 საათს ვვარჯიშობ ჩემს თანაგუნდელებთან და ჩემს მწვრთნელებთან - ლაშა გავვასთან და დავით ნასყიდაშვილთან ერთად. დაუღალავი შრომით, ყოველდღიური ვარჯიშის და სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობის და გამარჯვებების დამსახურებით მოვხვდი საქარველოს ნაკრებში. იმედებს რაც შეეხება, მაქსიმალურად ვეცდები, წარმატებით ვიასპარეზო და ოლიმპიურ ოქროზეც არ ვიტყოდი უარს. საკმაოდ დიდი კონკურენციაა, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ შემაჩერებს და მაქსიმალურად ვეცდები ჩემი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი ვიყო. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემთვის ყველაზე სერიოზული ტურნირი წლევანდელი ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური თამაშებია, უდიდესი და ძლიერი კონკურენციით.

წარმატებულ ასპარეზობას ვუსურვებთ ჩვენებურებს ოლიმპიურ ფესტივალზე!

რუსუდან სხირტლაძე

სპორტული სექციები სრულად დაფინანსდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, სასპორტო სკოლაში არსებული ყველა სპორტული სახეობის შესწავლა 2025 წელსაც სრულად დაფინანსდება.

სასპორტო სკოლაში 20 სახეობის (14 ზაფხულის და 6 ზამთრის) სპორტული წრე ფუნქციონირებს.

1000-მდე ახალგაზრდას შესაძლებლობა აქვს, რომ უსასყიდლოდ დაეუფლონ სპორტის სხვადასხვა სახეობას:

ზაფხულის სახეობები:

ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, კარატე, ჭადრაკი, კალათბურთი, მძლეოსნობა,ძიუდო, კრივი, კიკ-ბოქსინგი, ტაეკვონდო, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი და საერთო ფიზიკური მომზადება.

ზამთრის სახეობები:

სამთო-სათხილამური, საციგაო, ბიატლონი, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა, ყინულის ჰოკეი და სკი-კროსი.